დანართი №6

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები **თავმჯდომარე:** კობახიძე თამთა **წევრ(ებ)ი:** ბენიძე ვერა

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ- ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	229728658

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ვანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზეინდარი
ფაქტობრივი მისამართი	ვანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზეინდარი, სოფელ შუაგორას საჯარო სკოლა
საფოსტო ინდექსი	1900
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/878?schoolName=%
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	shuagora@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	577503825

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 0 25 0001329931, 10.10.2025

ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	12-13 ნოემბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ *(ივსება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების წარმოებაზე)*

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დამატებაც სურს სკოლას.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)

V. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ (ივსება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების წარმოებაზე)

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება სურს სკოლას.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ- ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 20 ოქტომბრის MES 4 23 0001415021 გადაწყვეტილებით მიენიჭა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი 6 წლის ვადით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა განესაზღვრა 180 მოსწავლით. საბჭოს ოქმის თანახმად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრების წინაშე დააყენა შუამდგომლობა, სსიპ-ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლას ოთხივე სტანდარტით, ორწლიანი ვადის შემდეგ დანიშვნოდა მონიტორინგი, ვინაიდან სკოლა საჭიროებდა სტანდარტით მოთხოვნილი ინდიკატორების გაუმჯობესებას და განვითარებას. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა. შესაბამისად, 2025 წლის 12 და 13 ნოემბერს, ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 10.10.2025 წლის MES 0 25 0001329931 ბრძანების შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი **პირველი, მესამე და მეოთხე სტანდარტების** შესაბამისობის შემოწმების მიზნით იმყოფებოდა დაწესებულებაში.

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში. დაწესებულების წარმომადგენლება ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შეუქმნეს სათანადო სამუშაო გარემო და მიაწოდეს ყველა მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
180	153

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტის გაზიარების შემდეგ დაწესებულებამ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2025 წლის 17 დეკემბერის N1800168 კორესპონდენციით წარმოადგინა არგუმენტირებულ პოზიცია დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. მათ სრულად გაიზიარეს დასკვნის პროექტში ასახული რეკომენდაციები და რჩევები. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და შესაბამისობის გეგმას. აქედან გამომდინარე, შესაბამისობის გეგმით უკვე დასრულებული საკითხები აღარ აისახა რეკომენდაციების ნაწილში.

X. ინფორმაცია კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო რესურსის შესახებ (ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილების წარმოებაზე)

გთხოვთ, ასახოთ ინფორმაცია შეცვლილ მისამართზე/ფართზე კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსის შესახებ

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2	☒ შეესაბამება

პერსონალის განვითარება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება**

	☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

(ცხრილი ივსება მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის წარმოების დროს)

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების განაცხადში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	☐	

მოსწავლეთა რაოდენობა: ----------	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების	სკოლას არ აქვს ვიდეოსათვალთვალო სისტემა და სახანძრ უსაფრთხოების შესაბამისობის დასკვნა. სკოლას არ აქვს დასკვნა შენო ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტთან შესაბამისობ შესახებ. მას აღნიშნულის შესახებ აქვს მიწერილი ადგილობრ თვითმმართველობასთან . ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგი სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემულ დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ. სკოლას აქ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის დადგენილები დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ მე მუხლის შესაბამისად შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულე საგანგებო მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო მართვ გეგმა. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოფის ინდიკატორის დაკმაყოფილება შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ვადით. (10.12.2027)**

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
3.5.1.4.	**სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**	სკოლაში შექმნილია სწავლებისათვის ინკლუზიური გარემო. სკოლა შენობაში შემოსასვლელად არ საჭიროებს პანდუსს. აქვს მოწესრიგებული სველი წერტილები, მათ შორის ადაპტირებული საპირფარეშო. სკოლის შენობას არ აქვს ლიფტი და არც პანდუსი მე-2 და მე-3 სართულზე მოსახვედრად. დღეის მდგომარეობით სკოლას არ ჰყავს შშმ მოსწავლე, რომელსაც ესაჭიროება ამგვარი მომსახურეობა. ჰყავს 4 სსსმ მოსწავლე, რომელთა განვითარებისთვის ყველა პირობაა შექმნილი. ტარდება მხატვრული ღონისძიებები მათი აქტიური ჩართულობით, ეწყობა სსსმ მოსწავლეთა ნახატების გამოფენები. მათ მიერ შესრულებული დავალებები, შემაჯამებლების ანალიზები ცხადყოფს მოსწავლეთა პროგრესს. სპეც. მასწავლებელთა და ასისტენტის კვალიფიკაცია, შექმნილი გარემო, მოწესრიგებული სივრცეები, მატერიალური რესურსებით აღჭურვილი რესურსოთახი უზრუნველყოფს სკოლაში დამაკმაყოფილებელ ინკლუზიურ გარემოს. სკოლას აქვს შეთანხმებული საშტატო განრიგით გათვალისწინებული ფსიქოლოგის საშტატო ერთეული, რომელზეც ვიზიტის ეტაპზე აცხადებდა ვაკანსიას. **სკოლას არ აქვს პანდუსი, არ აქვს ლიფტი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა შშმ პირის მეორე და მესამე სართულზე გადაადგილება. სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოფის ინდიკატორის დაკმაყოფილება შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ვადით (10.12.2027).**
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N. 1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ამოცანები, ჩაშლილია აქტივობებად, ასევე მითითებული განხორციელების ვადები, რესურსები და პასუხისმგებელი პირები. სკოლას მიეცა რჩევა ინდიკატორებისა და მტკიცებულებების ნაწილი გამიჯნოს ერთმანეთისგან, რადგან ორივე არსებითად და შინაარსობრივად სხვადასხვა საკითხია.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N. 3.1.2.2	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა	სასურველია, სკოლამ ცალკე შეიმუშაოს ან რომელიმე დოკუმენტში გააკეთოს ჩანაწერი საჭიროებებზე დაფუძნებული პერსონალისა და პროცესების მართვის პროცესში ინტერვენციული პოლიტიკის შესახებ.
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის	სასურველია სკოლამ აიყვანოს შრომის უსაფრთოხების სპეციალისტი.

	მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი

სტანდარტი 1 - სკოლის ფილოსოფია - ინდიკატორი 1.2.1.2.

სკოლას მიეცა (მეტწილი) შესაბამისობის რეკომენდაცია: იხელმძღვანელოს მის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით და სტრატეგიული გეგმების შემუშავების დროს გაითვალისწინოს ყველა ის საჭიროება რაც სასკოლო ცხოვრების განვითარებას მოემსახურება. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში, მოახდინოს საჭიროების იდენტიფიცირება და შესაბამისი სტრატეგიული მიზნების ფორმულირება. ამასთანავე გაითვალისწინოს, რომ სტრატეგიული მიზანი თავისი არსით უნდა იყოს მსხვილმასშტაბიანი და უნდა ჩაიშალოს შესაბამის რეალიზებად ამოცანებად. *ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია.*

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მიმდინარე მდგომარეობით.

ინდიკატორი N 1.2.1.4

სკოლას მიეცა მეტწილი შესაბამისობის რეკომენდაცია: სამოქმედო გეგმით განსაზღვროს მიზნის მისაღწევი ამოცანები და შესრულების ინდიკატორები, რაც იქნება იმის მაჩვენებელი, თუ რა შედეგი უნდა დადგეს კონკრეტული ამოცანის შესრულების შემდგომ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მიმდინარე მდგომარეობით

სტანდარტი N 3 - ინდიკატორი N 3.1.2.2.

უზრუნველყოს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება შესაბამისობი გეგმით განსაზღვრულ ვადაში 01.09.2023–30.09.2023 და მასში განსაზღვროს კადრების შევსებისა და მოზიდვის გზები. ასევე, თანამშრომელთა მიერ სამსახურის გაცდენის შემთხვევაში, კადრების მყისიერი ჩანაცვლების გეგმა. (მეტწილი შესაბამისობა).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მიმდინარე მდგომარეობით.

ინდიკატორი N 3.1.2.3

სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, სკოლში დაიგეგმა აქტივობები: ა) საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა; ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დასაქმების შეზღუდვის შემთხვევების გათვალისწინება შესაბამის

დოკუმენტში; გ) დასაქმებულების მიერ კანონმდებლობით დადგენილი ცნობების წარმოდგენის უზრუნველყოფა. ექსპერტთა მიერ გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს აღნიშნული დოკუმენტების შემუშავება სტანდარტების შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 01.09.2023 - 30.09.2023 და ასევე უზრუნველყოს იმ თანამშრომლების ნასამართლეობის და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობისა და არსებიბის შემთხვევაში უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების წარმოდგენა, რომლებიც მინიმუმ 2020 წლიდან მუშაობენ დაწესებულებაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მიმდინარე მდგომარეობით.

ინდიკატორი N 3.1.2.4.

სკოლამ უზრუნველყოს ყველა პოზიციისათვის (გარდა მასწავლებლებისა და ექიმის პოზიციაზე დასაქმებული პირისა) განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტის შემუშავება დადგენილ ვადაში (30.09.2023) და შესაბამისად სკოლის პერსონალი აიყვანოს საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. (მეტწილი შესაბამისობა)

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მიმდინარე მდგომარეობით.

ინდიკატორი N 3.4.1.1.

- *სკოლამ უზრუნველყოს აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის მოპოვება შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, სტანდარტებთან შესაბამისობის (მეტწილი შესაბამისობა) უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (01.10.2023 - 01.06.2024);*
- *სკოლამ უზრუნველყოს აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის მოპოვება შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ, სტანდარტებთან შესაბამისობისმუზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (01.10.2023 - 01.06.2024).*
- *სკოლამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (01.10.2023 - 01.06.2024*
- *სკოლამ უზრუნველყოს ქიმიის კაბინეტში ონკანის და გამწოვის მონტაჟი სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (01.10.2023 - 01.06.2024). (მეტწილი შესაბამისობა)*

ინდიკატორი N.3.5.1.1

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (01.10.2023 - 01.06.2024). ასევე შესაბამისობის გეგმაში განსაზღვროს სხვა ჩართული მხარეები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა პროცენტებში. (მეტწილი შესაბამისობა)

ლაბორატორია ვერ აკმაყოფილებს სტანდარტს, არ არის გამწოვი კარადები და სათანადო აღჭურვილობა. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას თავისი შემოსავლებით არ შეუძლია ლაბორატორიების აღჭურვა მან წარმოადგინა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერიის მისამართით გაგზავნილი წერილები, რომელშიც ითხოვს დახმარებას ლაბორატორიების აღჭურვის მიმართულებით. სკოლას აქვს რესურს ოთახი, სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა და სხვა.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული მიმდინარე მდგომარეობით.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლამ წარმოადგინა მისია, ხედვა და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტაცია. სკოლის მისიაა:
მ ი ს ი ა - ჩვენი, როგორც საგანმანათლებლო კერის , მისიაა უსაფრთხო, პოზიტიურ გარემოში აღზარდოს ეროვნული ღირებულებების, ჰოლისტური უნარ-ჩვევებისა და აკადემიური ცოდნის მქონე წინსვლისა და ცვლილებებისთვის მზადმყოფი პიროვნება, რომელიც რეალიზდება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.
ხ ე დ ვ ა - ჩვენი სკოლა 2031 წლისთვის იქნება ერთ-ერთი წამყვანი დაწესებულება რეგიონში, რომელშიც ეროვნულ ღირებულებებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროცესითა და პოზიტიური გარემოს უზრუნველყოფით ყველა პირობა შეიქმნება მოსწავლეთა აკადემიური წარმატებისათვის, მათი ემოციური და ფსიქო-სოციალური განვითარებისათვის. როგორც მოსწავლეს, ასევე მასწავლებელს მიეცემა თვითრეალიზების საშუალება. მოსწავლეები აღიჭურვებიან საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებით, რაც ხელს შეუწყობს, შემდგომში, მათ კარიერულ ზრდასა და აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას.
ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ე ბ ი: სამართლიანობა, ურთიერთპატივისცემა, პროფესიონალიზმი, ჰუმანურობა, პასუხისმგებლობა
, ობიექტურობა.
სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა მისიითა და ხედვით განსაზრვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

აღსანიშნავია, რომ ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების შემდეგ სკოლამ გადახედა საკუთარ მისიას, ხედვას, ღირებულებებსა და სტრატეგიული განვითარების დოკუმენტებს. სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობის ფონზე შემუშავდა განახლებული მისია, ხედვა და ღირებულებები. სასკოლო საზოგადოება (მშობლები, საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეები, პედაგოგები) ინტერვიუს დროს აღწერდნენ ამ პროცესებს და ადასტურებდნენ მათში ჩართულობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სასკოლო საზოგადოება (მშობლები, საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეები, პედაგოგები) ინტერვიუს დროს აღწერდნენ მისია, ხედვა, ღირებულებების გადამუშავების პროცესებს და ადასტურებდნენ როგორც მათში ჩართულობას, ასევე იზიარებდნენ მოცემულ შინაარსს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის არსებული მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი. გამოკრულია სკოლის შესასვლელში თვალსაჩინო ადგილას, ასახულია სკოლის ვებგვერდზე. მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, პირველ მშობელთა კრებაზე აღნიშნულზე კვლავ აწოდებდნენ ინფორმაციას მშობლებს. ანალოგიური დაადასტურეს მშობლებმაც.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია, ხედვა;
- სკოლის ვებგვერდი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლამ წარმოადგინა დირექტორის 2023 წლის 13 ივლისის ბრძანება N2-27 სსიპ ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შემუშავების შესახებ და ბრძანება N2-28 სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მეთოდოლოგიაზე მომუშავე ჯგუფის შექმნის შესახებ. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა შესაბამისი მეთოდოლოგია და სამუშაო ჯგუფის შემადგენლობითი სია, სხდომის ოქმები, რითაც დასტურდება, რომ შემუშავებაში ჩართულნი იყვნენ სასკოლო საზოგადოების ყველა ჯგუფის წარმომადგენლები. აღსანიშნავია, რომ ავორიზაციის პერიოდში სკოლას აღნიშნულ ნაწილში უფიქსირდებოდა ხარვეზი, რაც გასწორებული იქნა შესაბამისობის გეგმით წარმოადგენილ ვადებში.

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია აღწერს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების გათვალისწინების მექანიზმებს. მასწავლებლებმა, მშობლებმა ასევე დაადასტურეს, რომ ჩართული არიან სასკოლო საჭროებების კვლევაში (ფოკუს-ჯგუფების სახით), რაც თანხვედრაში მოდის სკოლის ადმინისტრაციის ინტერვიუს შედეგებთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების გეგმა 2024-2031 წლის ვადით. გეგმა არის შვიდწლიანი და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვისა და ღირებულებებს. სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს შესავალ ნაწილს, მისია, ხედვა, ღირებულებებს, მიზნებსა და სტრატეგიულ მიმართულებებს, SWOT ანალიზს, სტრატეგიული მიზნების შესაბამის ამოცანებსა და შესრულების ვადებს. **სტრატეგიული გეგმის დამტკიცების პროცედურულ ნაწილში სკოლას დაუდგინდა ხარვეზი. წარმოდგენილი გეგმა დამტკიცებულია სკოლის დირექტორის შესაბამისი ბრძანებით და განხილული/შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიურ საბჭოსთან, რაც წინააღმდეგობაში მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს N785 ბრძანება). სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და მტკიცებულებები, რომლის თანახმადაც აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი გეგმა არის ერთწლიანი, ეფუძნება სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას. სკოლამ წარმოადგინა გასული წლის განმავლობაში ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიში და შედეგები, რომელიც შესრულებული იყო სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ამოცანები, ჩაშლილია აქტივობებად, ასევე მითითებული განხორციელების ვადები, რესურსები და პასუხისმგებელი პირები. **სკოლას მიეცა რჩევა ინდიკატორებისა და მტკიცებულებების ნაწილი გამიჯნოს ერთმანეთისგან, რადგან ორივე არსებითად და შინაარსობრივად სხვადასხვა საკითხია. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სამოქმეგო გეგმის შესრულების ანგარიში;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

   სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. სკოლამ წარმოადგინა გასული წლის სამოქმედო გეგმის შეფასების ანგარიში, ასევე სამუშაო ჯგუფის ოქმები. ინტერვიუს შედეგებით დადასუტრა, რომ სკოლა პრაქტიკაში ახორციელებს მეთოდოლოგიით განსაზღვრულ საქმიანობას.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

   სკოლას დანერგილი აქვს მეთოდოლოგია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასებისთვის. ეს პროცესი გამჭვირვალეა და აქტიურად ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

   სკოლას დანერგილი აქვს უწყვეტი განვითარების ციკლი, რაც გულისხმობს, რომ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასებისა და მონიტორინგის შედეგები წარმოადგენს მთავარ საფუძველს სკოლის შემდგომი

სტრატეგიული დაგეგმვისთვის.ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს, გეგმების შესრულების **SWOT ანალიზი** ტარდება. ეს ანალიზი მოიცავს როგორც მიღწეულ წარმატებებს, ასევე გამოვლენილ პრობლემებსა და გამოწვევებს.შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, ხდება **ახალი სტრატეგიული მიზნებისა და პრიორიტეტების** განსაზღვრა მომავალი პერიოდისთვის. მაგალითად, თუ აღმოჩნდა, რომ გაუმჯობესდა აკადემიური მიღწევები, მაგრამ დასუსტდა მშობელთა ჩართულობა, ახალ გეგმაში მშობელთა ჩართულობა გახდება ერთ-ერთი მთავარი აქცენტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- ანგარიშები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N2-22 28.06.2023 ,, ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის შესახებ“ და ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N2-95 22.10.2025 ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“. ასევე სკოლის შინაგანაწესი და თითოეულ თანამშრომელთან დადებული ხელშეკრულების პირობები მკაფიოდ განსაზღვრავს მათ ფუნქციებსა და მოვალეობებს. N2-22 ბრძანებას აქვს 13 დანართი, რომელშიც სათითაოდაა გაწერილი სტრუქტურული ერთეულებისა და პირების სამუშაო აღწერილობები. ბრძანება N2-95 მუხლი 8 განმარტავს, რომ ,, ადამიანური რესურსი წარმოადგენს სკოლაში დასაქმებულ პირთა და მათი გამოცდილების, პიროვნული თვისებების, მისწრაფებებისა და მიზნების ერთობლიობას. ადამიანური რესურსის სწორი მართვა გულისხმობს იმგვარი სამუშაო გარემოს შექმნას, სადაც თითეულ თანამშრომელს ეძლევა საკუთარი პოტენციალისა და პირადი მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა სკოლის მიზნების მიღწევის პროცესში.” იგივე დოკუმენტის მუხლი9. პუნქტი2. აზუსტებს, რომ ,, სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი ეფუძნება პოზიციის სიღრმისეულ ანალიზს, მასში ჩანს თუ რა წვლილი შეაქვს ამ პოზიციას სკოლის წინაშე არსებული მიზნების მიღწევაში. სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი არეგულირებს თანამშრომელთა მოქმედების არეალს, ფუნქციურ დატვირთვას და ანგარიშვალდებულებას და მოიცავს შემდეგ საკვანძო ინფორმაციას:1. თანამდებობის/პოზიციის დასახელება;

2. სტრუქტურული ერთეული (არსებობის შემთხვევაში);
3. შესასრულებელი დავალებები (ფუნქციები) და პასუხისმგებლობები;
4. სამუშაოს პირობები;
5. საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**
   წინა ინდიკატორში განხილული დოკუმენტების მიხედვით განსაზღვრული ფუნქციები და პასუხისმგებლობეი ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის ისე განხორციელებას, რომ ხელი არ შეეშალოს პროცესების სრულფასოვან წარმართვას და გათვალისწინებული იქნას ყველა შესაძლო რისკი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N2-22 28.06.2023 ,, ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის შესახებ“
2. ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N2-95 22.10.2025 ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“.
3. სკოლის შინაგანაწესი.
4. თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლაში პერსონალის მართვის პროცესი ხორციელდება მათთან დადებული შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე. შრომითი ხელშეკრულებები დადებულია მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით. ასევე, პერსონალის მართვისას სკოლა ხელმძღვანელობს შინაგანაწესითა და ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N2-22 28.06.2023 ,, ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის შესახებ“ და ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N2-95 22.10.2025 ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის შინაგანაწესი, რომელიც დამტკიცებულია სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ 2019 წლის 6 სექტემბრის N1 სხდომის ოქმით, მუხლი 4. პუნქტი 2. გათვალისწინებულია გარკვეული რისკები და მათი პრევენციული მართვა. მაგალითად გადაუდებელი აუცილებლობის (სამედიცინო ან ოჯახური პირობები) გამო სამუშაო ადგილზე გამოუცხადებლობა ან სამუშაო დროის განმავლობაში სამუშაო ადგილის დატოვების შემთხვევაში, დასაქმებული ვალდებულია გონივრულ ვადაში,

შესაძლებლობისთანავე აცნობოს სკოლის დირექტორს/დირექტორის მოადგილეს გამოუცხადებლობის/სამუშაო დროის განმავლობაში სამუშაო ადგილის დატოვების შესახებ, შესაბამისი აუცილებლობისა და მიზეზების მითითებით.
სასკოლო კულტურაში დამკვიდრებული წესებით სკოლა ახდენს ინტერვენციულ პოლიტიკას პერსონალისა და პროცესების მართვის მიმართულებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა: სასურველია, სკოლამ ცალკე შეიმუშაოს ან რომელიმე დოკუმენტში გააკეთოს ჩანაწერი საჭიროებებზე დაფუძნებული პერსონალისა და პროცესების მართვის პროცესში ინტერვენციული პოლიტიკის შესახებ.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის შერჩევის პოლიტიკის დოკუმენტი. დირექტორის ბრძანება N20102 13.11.2025 ,,სსიპ ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ მუხლი 8 განსაზღვრავს პერსონალის შერჩევის პოლიტიკას, ხოლო მუხლი 9. პერსონალის მოზიდვის, შერჩევისა და დანიშვნის მექანიზმებს. აღნიშნულ მუხლებში ნათქვამია, რომ აკადემიური პერსონალის მოზიდვა ხორციელდება ვაკანტურ პოზიციაზე კონკურსის გამოცხადების გზით, რაც ღია, საჯარო და გამჭვირვალეა ყველა დაინტერესებული პირისთვის. ადმინისტრაციული პერსონალის კონკურსის წესით შერჩევის შემთხვევაში გათვალისწინებულია სკოლის მიერ შემუშავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სამუშაო აღწერილობა და ამ სამუშაოს შესასრულებლად საჭირო კომპეტენციები. ვიზიტის პროცესში შესწავლილი იქნა ვაკანტურ პოზიციაზე კანდიდატის შერჩევის ამსახველი დოკუმენტაცია, რომელშიც დაცული იყო ზოგადი და სკოლის მიერ შერმუშავებული ყველა წესი. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოდგინა კანონით გათვალისწინებული ცნობები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის შერჩევის პოლიტიკის დოკუმენტი. დირექტორის ბრძანება N20102 13.11.2025 ,,სსიპ ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“, რომელიც დაფუძნებულია მოქმედ კანონმდებლობას. სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშრომელი, გარდა ერთისა, აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. გამონაკლისია დაწყებითი კლასების მასწავლებელი,

რომელიც კომპეტენციის დადასტურების გარეშე ატარებს ხელოვნებისა და სპორტის გაკვეთილს. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ იგი გეგმავს გამოაცხადოს შიდა კონკურსი და აღნიშნულ საათებზე დაასაქმოს კვალიფიციური კადრი. ვიზიტის პერიოდში კონკურსი გამოცხადებული არ იყო. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და მტკიცებულებები, რომლის თანახმადაც აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სსიპ ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლაში სკოლის პერსონალი/მასწავლებლები, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მუდმივად ზრუნავენ სკოლის ინტერესების დაცვასა და საჭიროებების დაკმაყოფილებაზე. დახმარებას უწევენ ერთმანეთს პროფესიულ ზრდაში. მასწავლებლები არიან დამოუკიდებელნი თავიანთ ქმედებებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შესაბამისად აქვთ მზადყოფნა გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის აღების. ისინი თავიანთი საქმიანობის ფარგლებში არიან თავისუფალი, დირექცია მათ საქმიანობაში, სკოლის საჭიროებებიდან გამომდინარე, მხოლოდ მათი სურვილის შესაბამისად და შემდგომი მხარდაჭერის მიზნით ერთვება. ვიზიტის დროს გასაუბრებისას სკოლის თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ საერთო ღირებულებები და ინტერესები. მათ თანამშრომლობაზე დადებითად აისახება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სსიპ ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლაში წარმატებული გამოცდილების გაზიარება მასწავლებლებს შორის, ძირითადად, ხდება კათედრებზე, პედაგოგიური საბჭოს სხდომებსა და სამუშაო შეხვედრებზე. გასაუბრებისას სკოლის პერსონალის მიერ აღინიშნა, რომ სკოლას აქვს გამოცდილებისა და შეძენილი ცოდნის გაზიარების ტრადიცია, კერძოდ, როდესაც სკოლის თანამშრომლები ესწრებიან ახალ ტრენინგს, ან რაიმე სახით იძენენ ახალ ცოდნას უზიარებენ კოლეგებს. ინტერვიურებისას სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი გათვალისწინებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შინაგანაწესით. პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ხდება თანამშრომლებზე მადლობის გამოცხადება და მასწავლებელთა წახალისება სხვადასხვა ფორით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1.სკოლის შინაგანაწესი
2.შრომითი ხელშეკრულებები
3.დასაქმებულთა პირადი საქმეები
4.დირექტორის ბრძანება საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ
5. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.
6.სტრუქტურული ერთეულების დებულებები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება
3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სსიპ ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N2-95 22.10.2025 მუხლი 19. განსაზღვრავს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემასა და მექანიზმებს. აღნიშნულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ ,, დაწესებულება სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს" . სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, რომელიც აწესრიგებს მასწავლებლის შეფასების მიზნით დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის და პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა საქმიანობას. ხარისხის ჯგუფის წევრები ახორციელებენ მასწავლებელთა შიდა შეფასებას, კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციით შესაბამისობის დადგენას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან, ახორციელებს მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვებას, შეფასებას და აძლევს განმავითარებელ შეფასებას ჩატარებული გაკვეთილის ირგვლივ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში მუხლი 20 ეთმობა თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას. პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. სკოლის პროფესიული განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ საკვანძო პრინციპებს: პროფესიული განვითარება, როგორიც ყოველდღიური, მიმდინარე პროცესი, შეფასება, როგორც კონსტრუქციული უკუკავშირი განვითარებისთვის, სასკოლო საზოგადოების ურთიერთნდობა, როგორც განვითარების უპირობო საფუძველი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სსიპ ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს პროფესიული განვითარების სხვადასხვა მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით: მასწავლებლები აკეთებენ თვითშეფასებას, გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების გასავითარებლად გეგმავენ თავიანთ პროფესიულ განვითარებას. სკოლაში დამკვიდრებულია

მასწავლებელთა თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება - საგაკვეთილო დაკვირვებებით და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემით. ვიზიტის დროს ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარება უკავშირდება მოსწავლეთა შედეგებს. მოსწავლეთა შედეგების გაანალიზების საფუძველზე მასწავლებლები აკეთებენ საკუთარი პრაქტიკის რეფლექსიას. პროფესიული განვითარება და ნებისმიერი აქტივობა ემსახურება მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლას გაცნობიერებული აქვს, იმისათვის, რომ სკოლის მიერ შერჩეულმა პირმა შეძლოს საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად გამოვლენა, მნიშვნელოვანია, რომ მან წარმატებით გაიაროს ორგანიზაციასთან ადაპტაციის პროცესი და გახდეს ორგანიზაციის ღირებული წევრი. ამისთვის, სკოლა ზრუნავს ახალი კადრის ადაპტაციის პროცესზე.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილი ახალი თანამშრომლის ადაპტაციის ეტაპებია: მოლოდინები, შეხვედრა, „ოჯახის წევრობა“. სკოლააში ახალი კადრების მიღებისას ხდება მათი წარდგენა და გაცნობა პედაგოგიური კოლექტივის წინაშე, შეხვედრა უშუალო კათედრის წევრებთან, სამუშაო გეგმის, შინაგანაწესისა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების გაცნობა. ახალი კადრი ეცნობა სკოლაში დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს. საგნობრივი კათედრები, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა და სკოლაში არსებული ყველა სასწავლო სივრცე აღჭურვილია შესაბამისი რესურსით (ლეპტოპი, პროექტორი, ეკრანი და ა.შ.) და თითოეულ მასწავლებელს აქვს მათზე წვდომა. მასწავლებლებს აქვთ საშუალება განახორციელონ ნებისმიერი ინოვაციური იდეა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5.წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლაში დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით. შინაგანაწესის მე10 მუხლი დეტალურად აღწერს დასაქმებულის წახალისების სახეებს და მათი გამოყენების წესებს. წახალისების მექანიზმები შემდეგია: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოვება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვება, ერთჯერადი პრემიის გაცემა, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

აღნიშნულ საკითხზე საუბარია ასევე, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტიში მუხლი 21.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სკოლის შინაგანაწესი
2.ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
3.მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის დირექციას გააზრებული აქვს , რომ საგანმანათლებლო საქმიანობა უნდა იყოს განვითარებაზე ორიენტირებული უწყვეტი ციკლი, რომელიც გულისხმობს: დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას, რეკომენდაციების შემუშავებას, ინტერვენციას და მის შედეგებზე დაკვირვებას. სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი, სადაც ხაზგასმულია , რომ სწორად დაგეგმილი სამუშაო პროცესები უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების ეფექტიანობას. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი, სადაც საუბარია პერსონალის შერჩევის პოლიტიკასა და პროცედურებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

მართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის სხვადასხვა დოკუმენტებში: შინაგანაწესში, შრომით ხელშეკრულებებში, ხარისხის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტში და სხვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა: სასურველია სკოლამ შექმნას დამოუკიდებელი დოკუმენტი ან რომელიმე დოკუმენტში ერთად გააკეთოს ჩანაწერი სადაც მოახდენს იდენტიფიცირებას და აღწერას სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი ძირითადი და დამხმარე პროცესებისას.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლას აქვს ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ 2023 წლის 13 ივლისის N2-29 ბრძანებით დამტკიცებული ,,სსიპ ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი". აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი როგორც განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, ასევე დისციპლინური სახდელის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების ზოგადი წესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება საჩივრის განხილვის წესი, დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებებიც მოიცავს გასაჩივრების პუნქტს, სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო და დისციპლინური კომიტეტი. სკოლას აქვს ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ 2023 წლის 13 ივლისის N2-29 ბრძანებით დამტკიცებული ,,სსიპ ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი". პროცედურები რეგულირდება კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის დირექტორთან ინტერვიუში აღინიშნა, რომ გასაჩივრების შემთხვევები სკოლას არ ჰქონია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი
2. შრომითი ხელშეკრულებები
3. დირექტორის ბრძანებები
4. ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი
5. საჩივრისა და განცხადებების განხილვის წესი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

ზეპირი ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ მშობელთა ინფორმირებისათვის სკოლაში სისტემატურად ტარდება შეხვედრები, სადაც დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები აცნობენ მშობლებს ინფორმაციას. საჭიროების შემთხვევაში ეწყობა მშობელთან ინდივიდუალური შეხვედრები, სკოლა საკომუნიკაციოდ იყენებს სატელეფონო ზარს, სოციალურ ქსელს ან წერილობითი შეტყობინებას. სადმრიგებლო პროგრამაში გაწერილია დამრიგებლის მოვალეობები. მისი მოვალეობაა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს გააცნოს მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვა). ასევე რეგულარულად მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევების, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია. სკოლას აქვს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი გვერდზე საკუთარის გვერდი, ასევე სოციალური ქსელში აქვს სკოლის გვერდი, სადაც თავსდება ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სასკოლო საზოგადოება აქტიურადაა ჩართულია კოლეგიალურ ორგანოებში(სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედაგოგიური საბჭო.) მათი ფუნქციები განსაზღვრულია კანონმდებლობითა და სკოლის მიერ შექმნილ სტრუქტურული ერთეულების დებულებებში და დასტურდება ოქმებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სადამრიგებლო პროგრამები
2. სკოლის გვერდი
3. სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში
4. სამეურვეო საბჭოს ოქმები
5. პედაგოგიური საბჭოს ოქმები
6. სტრუქტურული ერთეულების დებულებები
7. თვითმმართველობის ოქმები
8. მრჩეველთა საბჭოს ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

   სკოლაში მოსწავლეთა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა მთელი სასკოლო საზოგადოების საზრუნავს წარმოადგენს. დირექტორის ბრძანებით დანიშნულია უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. ბიუჯეტის სიმწირის გამო სკოლას არ აქვს ვიდეო-სათვალთვალო კამერები. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა 2025 წლის თებერვალში საგანმანათებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსთვის მიწერილი წერილი, ხოლო 2025 წლის ოქტომბერში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობასთან, კერძოდ ვანის მუნიციპალიტეტის მერთან მიწერილი წერილი, სადაც ითხოვს დახმარებას ვიდეოსათვალთვალო სისტემის შეძენა-დამონტაჟებასთან დაკავშირებით. არასამუშაო საათებში სკოლის დაცვას უზრუნველყოფს დარაჯი. ხოლო სამუშაო საათებში დამლაგებელია ვალდებული გააკონტროლოს მოსწავლეთა შენობაში შესვლისა და შენობის დატოვების პროცესი. სასწავლო პროცესის დროს უცხო პირების გადაადგილება დაუშვებელია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. შენობაში დაცულია სახანძრო უსაფრთხოების წესები, დერეფნებში არის ცეცხლმაქრები დამუხტულ მდგომარეობაში. ყველა სართულზე, კედელზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმა, მასზე მითითებულია საევაკუაციო გასასვლელი. ყველა სართულზე განთავსებულია სახანძრო სტენდი. სკოლას არ აქვს დასკვნა შენობა ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტთან შესაბამისობის შესახებ. მას აღნიშნულის შესახებ აქვს მიწერილი ადგილობრივ თვითმმართველობასთან . ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ. სკოლას აქვს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ მე-5 მუხლის შესაბამისად შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა.

სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობის დაცვით შექმნილი უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო. სკოლა მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აწვდის სსიპ -„112“ -ის ცხელი ხაზის ნომრის და აღნიშნული უწყების ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციას. აღნიშნული გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე.

სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების დაცვის ოფიცერი. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც აღნიშნული ხარვეზის გასწორება იგეგმება 10.12.2027 წლისათვის.

ინდიკატორი ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია: სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს ვიდეოსათვალთვალო სისტემის მოწყობა და სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის დასკვნის მოპოვება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.

რჩევა: სასურველი იქნება სკოლამ გაითვალისწინოს და აიყვანოს შრომის უსაფრთხოების ოფიცერი.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სსიპ ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლას ყავს საშტატო ერთეულით გათვალისწინებული სკოლის ექიმი. აქვს ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია სტანდარტის შესაბამისად. ექიმის კვალიფიკაცია ასევე შესაბამისობაშია სტანდარტის მოტხოვნებთა. ვიზიტის პერიოდში სკოლას ჰქონდა საჭირო მედიკამენტების მარაგი, რომეიც წესების დაცვიტ ჰქონდა შენახული. შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ ექიმი ახორციელებს მოსწავლეთა ჯანმრთელობის მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში პირველადი დახმარების აღმოჩენას. რის შემდეგაც იგი უკავშირდება კლასის ხელმძღვანელსა და დირექტორს ხდება მათთვის სათანადო ინფორმაციის მიწოდება, რის შემდეგაც კლასის ხელმძღვანელი კომუნიკაციას ამყარებს მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლას არ ჰყავს მანდატური. დირექტორის ბრძანებით დანიშნულია უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც გადამზადებულია მანდატურის სამსახურის მიერ. რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი, რაც ასევე წარმოადგენს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმს.

წესრიგის დაცავის რეგულაციები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლში არის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემო. ბავშვთა მიმართ ძალადობის და რეფერირების ფაქტი სკოლაში არ არის დაფიქსირებული. მოსწავლეებთან იტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ ისინი თავს უსაფრთხოდ გრძნობენ, აქვთ შესაძლებლობების გამოვლენისა და განვითარებისთვის ხელშემწყობი გარემო. ამასთან იცნობენ საკუთარ უფლებებს და მექანიზმებს, რომლის საშუალებითაც შეუძლიათ უფლებების დაცვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში დაცულია სანიტარულ - ჰიგიენური ნორმები. სკოლაში ხორციელდება შიდა და გარე პერიმეტრის სანიტარული დასუფთავება. ყოველდღიურად ხდება სასწავლო ოთახების და სკოლის საერთო სარგებლობის ფართების სანიტარიული დასუფთავება და განიავება; სკოლაში ტარდება სადეზინფექციო სამუშაოები. სკოლას ჰყავს ექიმი, რომელიც აქტიურად არის ჩართული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით.საჭირო რესურსით აღჭურვას უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. სკოლას აქვს იჯარით გაცემული ფართი სასკოლო კვების ობიექტისთვის. ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მითითებით დირექტორის 2025 წლის 13 ნოემბრის ბრძანება N2-105 ,,ალექსანდრე ლილიუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის კვების ობიექტის საქმიანობის მონიტორინგის ჯგუფის შექმნისა და მონიტორინგის პროცედურისა და პერიოდულობის განსაზღვრის შესახებ“ შესაბამისად შეიქმნა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო კვების ობიექტში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისა და დასაშვები პროდუქტის შემოტანის კონტროლს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას აქვს სსიპ - ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 13 ივლისი N2-28 ბრძანება ,, სსიპ - ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები”. დოკუმენტი დეტალურადაა გაწერილი პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპები, პროცესი, მიზნები და დამუშავებული მასალის გამოყენების მიზნები. ასევე ცალკე მუხლი ეთმობა პერსონალური მონაცემების სკოლის მიერ დაცვის საკითხს. სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი და ვებ გვერდზე https://pdps.ge გამოქვეყნებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის შესახებ ინფორმაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

პერსონალური მონაცემები დაცულია სკოლაში მოქმედ ელექტრონულ სისტემაში. ელექტრონულ ჟურნალსა და eshool -ის ბაზაში გარანტირებულია მოსწავლის მონაცემების დაცვა. ჟურნალის მეშვეობით მუშავდება მოსწავლეთა მონაცემები, კერძოდ: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, შეფასება, დასწრება, საგნის ჯგუფები და განრიგი. ელექტრონული ჟურნალი არის სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციოს სიტემის ორგანიზებით შექმნილი პლატფორმა, სადაც ელექტრონულად აღირიცხება მოსწავლეთა დასწრებები და შეფასებები. სწავლების პროცესში, ელექტრონულ ჟურნალში დამუშავებულ მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებზე, ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ: სკოლის დირექტორს, მოადგილეს, დამრიგებელს, საგნის მასწავლებლებს , საქმისმწარმოებელს და საინფორმაციო მენეჯერს. ასევე სკოლაში დაცულია მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

   სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პერიოდულ შეფასებას, რაც დასტურდება მრჩეველთა საბჭოს ოქმით, სტრუქტურული ერთეულების ანგარიშებით. იგი აღნიშნულ შეფასებებს იყენებს მექანიზმების გასაუმჯობესებლად.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1.უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება
2. ექსპერტიზის დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ
3. შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა
4.მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტების დაკმაყოფილების შესახებ
5.მიწერილობა ვიდეოსათვალთვალო კამერების შეძენა-დამონტაჟების შესახებ
6. მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი
7.სკოლის ექიმის პირადი საქმე
8.დირექტორის ბრძანება მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ
9.პერსონალური მონაცემების დაცვის წესი

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

საჯარო რეესტრის ამონაწერით (საკადასტრო კოდი 31.17.28.051) სსიპ ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლა მდებარეობს სოფელ შუაგორაში, მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობია 12046.00 კვ.მ. სკოლის ტერიტორიაზე მდებარე სამი შენობა, შესაბამისი მიწის ფართით სახელმწიფო საკუთრებაა (N1-2418,8 კვ.მ; N2-31.2 კვ.მ; N3-61.2 კვ.მ) სკოლას გადაეცა უვადოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასწავლო პროცესი ერთ ცვლაში მიმდინარეობს. საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი მერხებით, სკამებით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით, დაფითა და კარადით. სკოლას აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კომისიის მიერ ყოველწლიურად ტარდება ფინანსური და მატერიალური რესურსების ინვენტარიზაცია. სკოლის ბიუჯეტი არის მწირი და ვერ უზრუნველყოფს მატერიალური რესურსების შეძენას. ამიტომ სკოლა წერილობითი მოთხოვნით მიმართავს სახელმწიფოს ინვენტარის განახლების მიზნით. ამ ეტაპისთვის სკოლის ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსები იძლევა საშუალებას სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და ეფექტური მუშაობის წარმართვისათვის. სკოლა აღჭურვილია საჭირო რესურსებით, როგორებიცაა კომპიუტერები, პროექტორები, თვალსაჩინოებები, პლაკატები, რუკები, სახელმძღვანელოები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია ვერ აკმაყოფილებს სტანდარტს, არ არის გამწოვი კარადები და სათანადო აღჭურვილობა. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას თავისი შემოსავლებით არ შეუძლია ლაბორატორიების აღჭურვა მან წარმოადგინა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერიის მისამართით გაგზავნილი წერილები, რომელშიც ითხოვს დახმარებას ლაბორატორიების აღჭურვის მიმართულებით. სკოლას აქვს რესურს ოთახი, სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა და სხვა.

ხარვეზი-სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლა რეაბილიტაციის შემდეგ აღიჭურვა ახალი კომპიუტერული ტექნიკით. მოეწყო კომპიუტერული ლაბორატორია. სრულად არის დაფარული Wi-Fi -ით. ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა. ყოველწლიურად ხდება მისი განახლება სასკოლო სასწავლო წიგნებითა და მხატვრული ლიტერატურით. საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. საბუნებისმეტყველო ლაბორატორია აღჭურვილია მწირი ლაბორატორიის კომპლექტით. აქვთ ვირტუალური ლაბორატორია. სკოლაშ არსებული ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი სრულად არის ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას აქვს სსიპ ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 28 ივნისის N2-23 ბრძანებით დამტკიცებული ,,სსიპ ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლი ბიბლიოთეკით სარგებლობის
ერთიანი წესი", რომელიც არეგულირებს მასში არსებული რესურსებით სარგებლობის შესაძლებლობას. აღნიშნული წესის მიხედვით მუხლი2.პუნქტი2 ,,ბ" ქვეპუნქტი ბიბლიოთეკის მიზანია ხელსაყრელი პირობები შექმნას პიროვნების შემოქმედებითი განვითარებისათვის. ვიზიტის პერიოდში შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე გაირკვა, რომ სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოებისთვის საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლაში შექმნილია სწავლებისათვის ინკლუზიური გარემო. სკოლა შენობაში შემოსასვლელად არ საჭიროებს პანდუსს. აქვს მოწესრიგებული სველი წერტილები, მათ შორის ადაპტირებული საპირფარეშო. სკოლის შენობას არ აქვს ლიფტი და არც პანდუსი მე-2 და მე-3 სართულზე მოსახვედრად. დღეის მდგომარეობით სკოლას არ ჰყავს შშმ მოსწავლე, რომელსაც ესაჭიროება ამგვარი მომსახურეობა. ჰყავს 4 სსსმ მოსწავლე, რომელთა განვითარებისთვის ყველა პირობაა შექმნილი. ტარდება მხატვრული ღონისძიებები მათი აქტიური ჩართულობით, ეწყობა სსსმ მოსწავლეთა ნახატების გამოფენები. მათ მიერ შესრულებული დავალებები, შემაჯამებლების ანალიზები ცხადყოფს მოსწავლეთა პროგრესს. სპეც. მასწავლებელთა და ასისტენტის კვალიფიკაცია, შექმნილი გარემო, მოწესრიგებული სივრცეები, მატერიალური რესურსებით აღჭურვილი რესურსოთახი უზრუნველყოფს სკოლაში

დამაკმაყოფილებელ ინკლუზიურ გარემოს. სკოლას აქვს შეთანხმებული საშტატო განრიგით გათვალისწინებული ფსიქოლოგის საშტატო ერთეული, რომელზეც ვიზიტის ეტაპზე აცხადებდა ვაკანსიას.

ინდიკატორი ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

სკოლას არ აქვს პანდუსი, არ აქვს ლიფტი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა შშმ პირის მეორე და მესამე სართულზე გადაადგილება. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა იგეგმება 10.12.2027 წლამდე. რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს ინკლუზიური გარემოს შექმნა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლას აქვს სამკითხველო, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, სარეკრეაციო სივრცე, სოციალიზაციისათვის შესაფერისი გარემო და ინფრასტრუტურა, რომელიც ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. ტარდება სხვადასხვა მხატვრული თუ სპორტული ღონისძიებები, აღნიშნული ასახულია სკოლის სოციალურ ქსელში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
2. ინვენტარიზაციის მასალები
3. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
4. ვიზუალური დათვალიერება
5.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც ხელმისაწვდომია ყველასათვის. სკოლის ტექნიკური არჭურვილობა საშუალებას იძლევა ყველა მასწავლებელმა და მოსწავლემ ისარგებლოს თანამედროვე ტექნოლოგიებით. კომპიუტერულ ლაბორატორიაში ტარდება სხვადასხვა საგნის გაკვეთილები, იქმნება რესურსები და ტარდება პრეზენტაციები. სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს,რომელიც საშუალებას აძლევს მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ჰქონდეთ ინფორმაცია მოსწავლეების გაცდენა/დასწრების, ნიშნების, კომენტარების, დავალებების, საბოლოო საშუალო ქულების, რეიტინგების, ნიშნების ფურცლისა და სხვა ტიპის ინფორმაციის შესახებ. სკოლას აქვს პროექტორები, პრინტერები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზა ხელმისაწვდომია სკოლის პერსონალისთვის. სკოლაში შემუშავებულია საზიარო სამუშაო სივრცეების გამოყენების გეგმა. ინტერვიურების პროცესის შედეგად ჩანს, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში ხშირად იყენებენ ციფრულ რესურსებს, რისთვისაც აუცილებელია ტექნიკურ საშუალებებზე ხელმისაწვდომობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ვიზუალური დატვალიერება
2. ზეპირი ინტერვიუები

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას აქვს სსიპ ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 28 ივნისის N2-25 ბრძანებით დამტკიცებული ,,სსიპ ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის საქმისწარმოების ერთიანი წესი" დოკუმენტი შედგენილია სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შედგება 10 მუხლისაგან და დეტალურადაა გაწერილი საქმისწარმოების პროცედურები და პასუხისმგებელი პირები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. ინფორმაციის მიღება და გაგზავნა ხდება როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალური სახით. სკოლა იყენებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის eflow-ს სისტემას, სადაც ხდება შემოსული და გასული დოკუმენტაციის, ბრძანებების და სხვა დოკუმენტების რეგისტრაცია. სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას ს. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებული ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანების ფორმა შეესაბამება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლა სისტემატიურად ახორციელებს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ში პირადი პროფილის განახლებას. სასწავლო წლის მანძილზე ეტაპობრივად შედის ცვლილებები ბაზაში. იქმნება კლასები, დგება საგაკვეთილო განრიგი, ხორციელდება მოსწავლეთა ჩარიცხვა/ამორიცხვა, მობილობის პროცედურები, სახელმძღვანელოების შერჩევა და ა. შ. იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელექტრონული სისტემაა სასკოლო განათლებაში, რომელიც ავტომატურად კავშირშია ელექტრონულ ჟურნალთან, რომლის განახლება ეტაპობრივად მიმდინარეობს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლის საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. ვადების და პროცედურების დაცვით ხდება ანგარიშების წარდგენა შესაბამის სტრუქტურებთან. სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე ფინანსური და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ანგარიშს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს, რაც დადასტურებულია სამეურვეო საბჭოს ოქმით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საქმისწარმოების ერთიანი წესი
2. სკოლის მიერ შედგენილი და დამტკიცებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.
3. საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება
4. სკოლის პროფილი eflow-სა და eschool-ის გვერდებზე
5. სამეურვეო საბჭოს ოქმი
6. ვიზუალური დათვალიერება
7. ზეპირი ინტერვიუ

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც ატვირთული აქვს ყველა სავალდებულო დოკუმენტი და ინფორმაცია. სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალების გასავრცელებლად სკოლა იყენებს სოციალურ ქსელს. განსაზღვრული ჰყავთ ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლას აქვს როგორც სამართლებრივი, ისე მორალური ვალდებულება გაავრცელოს გადამოწმებული, სანდო და უტყუარი ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ; შესაბამისად, ყველა ინფორმაცია, რაც მიეწოდება მოსწავლეთა მშობლებს, ქვეყნდება საინფორმაციო დაფაზე ან/და სოციალური ქსელის ოფიციალურ კედელზე, შეთანხმებული, შეჯერებული და ნებადართულია სკოლის ადმინისტრაციის მიერ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლას აქვს 2023 წლის 28 ივნისს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი". აღნიშნული დოკუმენტის მიზანია:

1.1. სკოლის იმიჯის შენარჩუნებაზე ზრუნვა და ცნობადობის ამაღლება;

1.2. შიდა და გარე საკომუნიკაციო სტრატეგიების ეფექტური გამოყენება ინფორმაციის ხელმისაწვდომობისთვის;

1.3. საზოგადოების როლის ზრდა სკოლის საქმიანობის გაუმჯობესებაში.

1.4. საზოგადოებასთან ურთიერთობა;

1.5. კომპეტენციის ფარგლებში სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ საზოგადოებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გამჭვირვალობის და ამ სფეროში საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა;

1.6. საზოგადოების ინფორმირება სკოლის საქმიანობისა და ზოგადსაგანმანათლებლო სფეროში მისაღები და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ
1.7.სკოლის სოციალური ქსელების ადმინისტრირება;
ინტერვიურების პროცესში გაირკვა, რომ სკოლა სასკოლო საზოგადოებისგან მიღებულ უკუკავშირს იყენებს სკოლის განვითარებისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე skolebi.emis.ge საკუთარი გვერდი, რომელზეც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრის მიერ შექმნილი სკოლების პორტალზე არსებული სკოლის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები , სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში და საკონტაქტო ინფორმაცია.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი
2. სკოლის გვერდი
3. სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში

4. ინტერვიუები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლას აქვს მწირი ბიუჯეტი, თუმცა მაინც ახერხებს აუცილებელი საგანმანათლებლო რესურსების შეძენას. სკოლის დირექტორი თანხებს განკარგავს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ძირითადად იხარჯება შრომის ანაზღაურებასა და კომუნალურ გადასახადებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლა 20 ნოემბრამდე ამტკიცებს მომავალი წლის შესყიდვების გეგმას. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა ბაზრის კვლევას ახორციელებს ძირითადად ინტერნეტიდან მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე. დოკუმენტაცია იტვირთებას spa.ge -ზე. საჭიროები შემთხვევაში ბუღალტერი მიმართავს დირექტორს შესყიდვების გეგმაში ცვლილების შესატანად. ცვლილება ხორციელდება

ინდივიდუალური აქტით. სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმით დასტურდება, რომ სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხორციელდება კანონის შესაბამისად. სკოლის დირექტორს სამეურვეო საბჭოსათვის წარდგენილი აქვს 2026 წლის სკოლის ბიუჯეტის პროექტი. ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს როგორც სავარაუდო შემოსავლებს, ასევე სკოლის საჭიროებისთვის განსაზღვრულ ხარჯებს

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სამეურვეო საბჭოს ოქმი ფინანსური ანგარიშისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ
2. საპროგნოზო ბიუჯეტი
3. შესყიდვების გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის **შიდა წესები** და რეგულაციები, რომლებიც ეფუძნება როგორც მოსწავლეთა ქცევის წესებს, ისე მასწავლებლის ეთიკის კოდექსს, **უზრუნველყოფს** მოსწავლის კანონით განსაზღვრული უფლებებისა და გარანტიების სათანადო დაცვას. აღნიშნული შინაგანაწესი **დამტკიცებულია კანონის შესაბამისად.** იგი მოიცავს ყველა იმ მნიშვნელოვან საკითხს, რასაც ითვალისწინებს სტანდარტის მოთხოვნები. ავტორიზაციის ექსპერტთა წინა დასკვნის თანახმად, სკოლას მიეცა რჩევა მოსწავლის უფლებები უფრო ნათლად წარმოჩენილიყო შინაარსში, რაც გათვალისწინებულია.

სკოლის მმართველობით სტრუქტურებში **აქტიურად მონაწილეობენ** მოსწავლეები. სკოლაში ფუნქციონირებს **მოსწავლეთა თვითმმართველობა**, რომლის წარმომადგენელიც სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაშია. დისციპლინარული კომიტეტი დაკომპლექტებულია **თანაბარი რაოდენობით** მასწავლებლის, მშობლისა და მოსწავლის წარმომადგენლებით.დირექციის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად **დადასტურდა**, რომ ნებისმიერ მოსწავლეს შეუძლია მიმართოს ადმინისტრაციას საკუთარი აზრის ზეპირად ან წერილობით გამოსახატავად.

სკოლის შიდა რეგულაციები სრულად **უზრუნველყოფს** მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას და გარანტიებს. შესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლა **უზრუნველყოფს** მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვას. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს **მოსწავლეთა თვითმმართველობა**, რომელიც ახალი სასწავლო წლის დასაწყისში თანატოლებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს აცნობს და კონსულტაციას უწევს. სკოლის **შინაგანაწესი ხელმისაწვდომია** ყველასთვის (საინფორმაციო დაფები, ონლაინ პლატფორმები, კრებები). **დამრიგებელი ვალდებულია** გააცნოს მოსწავლესა და მშობელს დოკუმენტის მთავარი საკითხები და აკადემიური მოსწრების შესახებ რეგულარულად მიაწოდოს ინფორმაცია.ასევე, აღინიშნა, რომ საკლასო ოთახებში **გამოკრული იყო მოსწავლეების მიერ შედგენილი ქცევის წესები**.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

ექსპერტთა მიერ ხელშეკრულებების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ დოკუმენტი მოიცავს კანონით გათვალისწინებულ ყველა მახასიათებელს, გაფორმებულია სათანადო წესით და არის გამჭვირვალე, კანონმდებლობის შესაბამისი დოკუმენტი.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **შინაგანაწესი;**
- **ხელშეკრულებები;**

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**
   სკოლამ გაითვალისწინა ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაცია და ცალკე დოკუმენტად წარმოადგინა მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები, რომლებიც შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**
   ვიზიტის პერიოდში სკოლა არ ახორციელებდა რაიმე სახის მომსახურებას და/ან პროგრამას, რომელსაც კონკრეტული საფასური ექნებოდა განსაზღვრული. რაც შეეხება შიდა პოლიტიკისა და ქცევის შესახებ ინფორმაცია, საჯაროდ იყო ხელმისაწვდომი. შინაგანაწესი გამოქვეყნებულია სკოლის ვებგვერდზე და ასევე გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**
   მშობლებთან, პედაგოგებთან და მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლის შინაგანაწესი;

მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებები;
მშობელთა კრებების ოქმები;
დირექტორის ანგარიში;
თვითმმართველობის ოქმი.
შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი.მშობლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ ახალი მოსწავლის გადმოსვლის შემთხვევაში სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგები მიმართავენ კონკრეტულ ღონისძიებებს მათი უკეთ ადაპტაციის მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. განსაკუთრებულ როლს ანიჭებენ პირველ სასწავლო დღეს, გეგმავენ შესაბამის ღონისძიებებს და ათვალიერებინებენ სკოლის შენობას. არსებული ინფრასტრუქტურა მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებაზე, თუმცა როგორც მესამე სტანდარტის შესაბამის ნაწილში აღინიშნა, სკოლა არ არის აღჭურვილი სათანადო ადაპტირებული გარემოთი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად მიმართულ სისტემურ კონსულტაციასა და მხარდაჭერას. საჭიროების შემთხვევაში რეგულარულად ტარდება ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები საგნობრივი მასწავლებლების მიერ, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ მოსწავლეებს, რომლებსაც კონკრეტულ საგნებში აქვთ სირთულეები. კლასის დამრიგებელი თითოეულ მოსწავლესთან და მის მშობელთან წელიწადში მინიმუმ ორჯერ ატარებს აკადემიური პროგრესის განხილვას. ამ შეხვედრებისას ხდება მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შექმნა, რათა დაისახოს კონკრეტული ნაბიჯები შედეგების გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლის ადმინისტრაცია სრულად უზრუნველყოფს მოსწავლეთა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ მხარდაჭერას და ამ პროცესს ახორციელებს გონივრულ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, ნებისმიერ დროს, ზეპირი ან წერილობითი ფორმით მიმართონ სკოლის დირექციას, ადმინისტრაციას ან მრჩეველთა საბჭოს საკუთარი უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებული საკითხების თაობაზე. დირექცია უზრუნველყოფს მიმართვის დაუყოვნებლივ განხილვასა და რეაგირებას.ნებისმიერი დოკუმენტაცია (მაგ., ცნობები, ამონაწერები, ნიშნების ფურცლები) მოსწავლის ან კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნის საფუძველზე მზადდება და გაიცემა დადგენილ მაქსიმალურ ვადებში, როგორც ეს გათვალისწინებულია საქმისწარმოების შიდა წესებითა და მოქმედი კანონმდებლობით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**
   სკოლა აქტიურად უჭერს მხარს და აწახალისებს მოსწავლეებში არაფორმალური განათლებისა და დამატებითი აქტივობების განვითარებას, ასევე უზრუნველყოფს მათი ინიციატივების მხარდაჭერას კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის ჩართულობით.დასახელდა კონკრეტული პროექტები და აქტივობები, რომლებიც სკოლის პარტნიორების მხარდაჭერით განხორციელდა და არაფორმალური განათლების გაძლიერებას ისახავდა მიზნად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას
სკოლაში არსებობს უკუკავშირის მექანიზმი, რომლისა საშუალებითაც სკოლას აქვს შესაძლებლობა გააუმჯობესოს მოსწავლეთა მომსახურება. დასახელდა გამოკითხვები და წარმოდგენილი იყო გამოკითხვის ფორმები, სასკოლო გარემოს შეფასების მიზნით.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2022-2023 ს/წლის სასკოლო სასწავლო გეგმა •
- სკოლის შინაგანაწესი;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა უზრუნველყოფს, რომ **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება** იყოს **მუდმივად ხელმისაწვდომი** საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა მოსწავლისთვის. დასახელდა კონკრეტული აქტივობები, რომლებიც მზიანდ ისახავდა მოსწავლეთა პროფორიენტაციას. ასევე დირექციის მცდელობები თანამშრომლობა დაემყარებინა კონკრეტულ პროფესიულ კოლეჯებთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

მშობლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ სკოლა სისტემატურად უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებას ზოგადი განათლების საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, რაც მოიცავს განახლებულ და სანდო წყაროებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლას გააჩნია ჩამოყალიბებული სისტემა, რომლითაც აფასებს გაწეული საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული მომსახურების ხარისხს და ამ შეფასების შედეგებს სრულად ითვალისწინებს მომავალი გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თვითმმართველობის ოქმები;
- ინტერვიუს შედეგები.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს ინკლუზიური განათლების პრინციპებს. ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სპეციალური მასწავლებლის ანგარიშები, ისგ ჯგუფის ოქმები და ისგ ჯგუფის მონიტორინგის ჯგუფის ოქმები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლა **აქტიურად იყენებს** სასკოლო საზოგადოების **მთლიანი ჩართულობისა და თანამშრომლობის** პრინციპებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეების წინსვლისა და განვითარების სრულფასოვანი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. დადასტურდა, რომ საგნის ყველა მასწავლებელი რეგულარულად გადის კონსულტაციას სპეცმასწავლებელთან ისგ-ის ეფექტურად განხორციელების მეთოდებზე. ისინი **ერთობლივად** გეგმავენ სასწავლო პროცესს, რათა უზრუნველყონ მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემო.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ისგ გეგმები;
- ისგ ჯგუფის შეხვედრის ოქმები.
- ისგ ჯგუფის მონიტორინგის ჩანაწერები;
- მოსწავლის პირადი საქმეები.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

. სკოლის მიერ შეთავაზებული არასავალდებულო ხასიათის მომსახურებაში შედის ტრანსპორტირების სერვისი, რომელსაც ფინანსურად უზრუნველყოფს ვანის მუნიციპალიტეტის მერია. შესაბამისად ხელშეკრულებაც მძღოლთან გაფორმებულია მერიის მხრიდან.სკოლაში ფუნქციონირების კვების ობიექტი, რომელიც გაიჯარებულია და გაფორმებულია ხელშეკრულება კანონმდებლობის შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

   დადასტურდა, რომ სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას.

   ინდიკატორი დაკმყაოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....

.....

.....

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი

19.12.2025



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: